ხელშეკრულება შესყიდვების შესახებ №8

ქ. ზუგდიდი 13. მარტი .2013 წ

ერთის მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორულეს საჯარო სკოლა (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორი ალბერტ ცაავას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ზუგდიდის რაიონული სახანძრო სამსახური" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ონისე გულორდავას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან **ცეცხლამაქრების შესყიდვა, საევაკუაციო გეგმის დამზადება და რკინის კონსტრუქციის სახანძრო კიბის დამზადება-დამონტაჟება (CPV კოდი 35100000)** შესყიდვა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 **ხელშეკრულების ღირებულება**

შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო საკვანძო ღირებულება საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 985(ცხრაასოთხმოცდახუთი) ლარს.

1.3 „შესყიდვების ობიექტი ს" დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. შესყდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

2.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

2.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებელი შესყიდვის ობიექტი ექსპლუატაციის პერიოდში არ გამოავლენს დეფექტებს

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება„შემსყიდველის„ მოთხოვნის შესაბამისად, 2013 წლის 30 აპრილამდე .

3.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი მდებარე მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, კოსტავას №54**

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი)

3.4 ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 30 აპრილამდე

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილი განისაზღვრება მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით

4.4 მიღება- ჩაბარება და დამონტაჟება მოხდება მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველის ორგანიზაციაში .

4.5 ობიექტის მიღების ან/ და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.6 შესყიდვის ობიექტის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობინებს მიმწოდებელს წერილობით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განახორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით , მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით,მიღებული საქონლის რაოდენობის და ღირებულებიდან გამომდინარე.

5.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 **შემსყიდველს უფლება აქვს:** შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

"შემსყიდველი უფლებამოსილია:

" მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს უფლებრივად და ნიეთობრივად უნაკლო " შესყიდვის" ობიექტის, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება.

"მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობითა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

–წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა " . განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

6. 3 **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

–გააფრთხილოს შემსყიდველი ობიექტის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შ უძლიამოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარეშ უძლებელი გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლის გადახდა 0.5 % -ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1 ხელშემკერელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

8.2 ხელშეკრულების შეწყვეტის სესახებ მხარეც ეცნობება წერილობით ხელშკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი ამოქმედების თარიღი.

8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებით ფირებულებითი პარამეტრების შეცვლა მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს–მაჟორი

10.1 მხარეებნი არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. 10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მიწოდებული ობიექტის შ მოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 დასკვნითი დებულებანი

13. 1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის ორ იდენტურ ეგზემპლარად, და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილიამხარეთა მიერ.

14. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.ორულის საჯარო სკოლა	მ/შ"ზუგდიდის რაიონული სახანძრო საზოგადოება"
საიდენტიფიკაციო კოდი 220373316 მისამართი: სოფ. ორულუ ს/ს ლიბერთი ბანკი ანგ.ნომ: GE48LB0121137177410000 ბანკის კოდი LBRTGE22 დირექტორი: ა.ცაავა ხელმოწერა	საიდენტიფიკაციო კოდი: 220373067 მისამართი: ზუგდიდი კოსტავას №54 ს/ს ლიბერთი ბანკი ანგ.ნომ GE09LB0113110521795000 ბანკის კოდი LBRTGE22 დირექტორი: ო.გულორდავა ხელმოწერა